საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-434

25/05/2020

ქ. თბილისი

საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩიხაში შპს „ეკოპეტროლის“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ეკოპეტროლის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩიხაში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობისა და ექსპლუატაციისსკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგური მდებარეობს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხაში, შპს „ეკოპეტროლის“ მიერ იჯარით აღებულ, გრიგოლ კაკაურიძის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია 35.02.54.143. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ობიექტს სამხრეთიდან ესაზღვრება საჩხერე-გომის საავტომობილო გზა. დანარჩენი მხრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები. უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ობიექტიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 180 მეტრში. ობიექტიდან აღმოსავლეთით, 340 მ-ის დაშორებით, მდებარეობს უფუნქციო ავტოგასამართი სადგური. ხოლო დასავლეთით - 155 მ-ში თხევადი აირით გასამართი პუნქტი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე 2018 წელს მოეწყო ორი მიწისქვეშა რეზერვუარი, თითოეული 25 მ³ მოცულობის. ერთი მათგანი განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისთვის, ხოლო მეორე ბენზინის საწვავისთვის. საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით და ჩაისხმება მიწისქვეშა რეზერვუარებში, საიდანაც მიეწოდება ჩამოსასხმელ სვეტებს. დაგეგმილია წელიწადში 500000 ლიტრი ბენზინის და 500000 ლიტრი დიზელის საწვავის მიღება და რეალიზაცია.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე უმთავრესი ფუნქციური ერთეულები იქნება: საოპერატორო, ფარდული გამცემი სვეტებით და სარეზერვუარო პარკი. პროექტის მიხედვით საწვავმარიგებელი სვეტები განთავსდება გადახურულ ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგური იფუნქციონირებს ყოველდღიურად 360 დღე წელიწადში, 24 საათიანი რეჟიმით. მომსახურე პერსონალის რაოდენობა იქნება 8 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყლის გამოყენება მოხდება საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. ობიექტის წყალმომარაგება გათვალისწინებულია საჩხერის წყალსადენის ქსელიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში. ავტოგასამართი სადგურის ტექნოლოგიური მოედანი, სადაც გათვალისწინებულია

ავტომობილების გამართვა, გადახურულია, რაც გამორიცხავს მოედანზე ატმოსფერული ნალექების მოხვედრას. გარდა ამისა, ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით, შესაბამისად არ არსებობს მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკი. ტერიტორიაზე მოწყობილია შემკრები არხი და ნავთობდამჭერი. ავტომანქანების გამართვის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს მოედანზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყალი შეიკრიბება ზემოაღნიშნული არხით, რომელიც მიეწოდება ნავთობდამჭერს. გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება ობიექტის ჩრდილოეთით არსებულ სანიაღვრე არხში. ამდენად ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების რისკი დაბალია.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ავტოგასამართი სადგურის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღებისას და ავტომობილების გამართვისას. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაანგარიშების შედეგების მიხედვით, გაფრქვეული ნივთიერებების რაოდენობა მცირეა და შესაბამისად არ ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე. აღსანიშნავია, რომ დიზელის და ბენზინის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს.

ავტოგასამართ სადგურზე არ არის გათვალისწინებული ხმაურწარმომქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსება და გამოყენება. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტით, საწვავის შემოტანისა და ავტომობილების გამართვის დროს. იმის გათვალისწინებით, რომ ავტოგასამართი სადგური განთავსებულია ცენტრალური ქუჩების მიმდებარედ, ობიექტზე ავტომობილის გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ფონურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება კონტეინერებში. ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს მათ დროებით განთავსებას და გადაცემას შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც ხანძრის პრევენციას, ისე უსაფრთხოებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, წითელ წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები, რაც გამორიცხავს სამუშაოების პროცესში და შემდგომ ეტაპზე, მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას. საწარმოს გავლენის ზონაში დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ მდებარეობს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩიხაში შპს „ეკოპეტროლის“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ეკოპეტროლი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეკოპეტროლს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეკოპეტროლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი